ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 97242622
თარიღი:18/09/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი N06

დ.ლენტეხი. 17 სექტემბერი 2024წ.

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას ესწრებოდა 9 (ცხრა) წევრი.

ბიუროს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი. ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

2. **ლენტეხის ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიში - 2024 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მძიმე ტექნიკის (ექსკავატორ - დამტვირთველი) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტუღუ აფაქიძე/

1.მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ მერიიდან შემოსულია ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. 6 სექტემბერს ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. კომისიის წევრებმა მოისმინეს სამსახურის ანგარიში. აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა და გადაწყვიტეს წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენა გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 9

წინააღმდეგი --0

გადაწყვიტეს: საკითხი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით

,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“.

2.მოისმინეს: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა ბიუროს წევრებს წარუდგინა მერიიდან შემოსული ლენტეხის ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიში - 2024 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. მიმდინარე წლის 9 სექტემბერს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე განხილული იქნა აღნიშნული აიპ ის ანგარიში, კომისიის წევრების გადაწყვეტილებით წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენა გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი აღნიშნული ანგარიშის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გატანის თაობაზე.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე --9

წინააღმდეგი --0

გადაწყვიტეს: საკითხი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით.

,, ლენტეხის ა(ა) ი. პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიში - 2024 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“.

3**.მოისმინეს:** საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 13 სექტემბერს მერიიდან შემოვიდა მომართვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მძიმე ტექნიკის (ექსკავატორ - დამტვირთველი) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 16 სექტემბერს ჩატარდა კომისიის სხდომა, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს და მიიღეს გადაწყვეტილება . საკითხი გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გატანის თაობაზე.

ღია კენჭისყრა:

მომხრე --9

წინააღმდეგი --0

გადაწყვიტეს: საკითხი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით.

,,.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - მძიმე ტექნიკის (ექსკავატორ - დამტვირთველი) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

ბიუროს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

ღია კენჭისყრა:

მომხრე --9

წინააღმდეგი --0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს სხდომა დასრულდა -- 13 საათსა 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი